

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 20.

თბილისი

08.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

მარინე ჟვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

კონსტანტინე ჩოკორაია - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა ძამაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანდრო ბარნოვი, წარმომადგენლები - ირინე დარჩია და დავით მახვილაძე;

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ირინე კვაჭაძე;
3. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქეთევან ჯინჭარაძე;
4. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მათიაშვილი;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი თეონა ხუფენია;
6. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ დირექტორი ნათია ნიკაჭაძე;
7. შპს - წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის რექტორი ვიქტორ ასათიანი;
8. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის დირექტორი რეზო შარაბიძე;
9. შპს - პეგასის დირექტორი პაატა ავალიანი;
10. შპს - „ნ&ნ 2000“-ის დირექტორი ელზა ლეკვეიშვილი;
11. შპს - სკოლა - ფენიქსის დირექტორი რუსუდან ციციშვილი;
12. შპს - მომავლის სკოლის გენერალური დირექტორი ნინო გოგორიშვილი;
13. სპს - ცისიერ დიდმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ხელმძღვანელი ცისიერ დიდმელაშვილი;
14. სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ ხელმძღვანელი ნონა კუპრეიშვილი;
15. შპს - „პროგრესი 010“-ის დირექტორი ნიკოლოზ ბრეგვაძე, დირექტორის მოადგილე ნაირა კობახიძე;
16. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენლები - გულნარა დევდარიანი და მარიამ ფირანიშვილი;
17. შპს - „აისის“ დირექტორი იანა ტორჩინავა;
18. შპს - საუნჯე - გორის კერძო საშუალო სკოლა „საუნჯის“ დირექტორი ოთარ ლომაური;
19. შპს - ახალი ლიცეუმის დირექტორი ნარგიზა ქუთათელაძე;
20. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის, არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი, ზოგადსაგანმანათლებლო, კომპიუტერული საშუალო სკოლის დირექტორი მანანა ტარიელაშვილი;
21. შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის დირექტორი ჯემალ მნათობიშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან რეხვიაშვილი;
მაია ხურცილავა;
რევაზ ნინუა;
ელენე გვენცაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18³⁰ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

3. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

4. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

6. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

7. შპს - წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

9. შპს - პეგასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - „ნ&ნ 2000“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - სკოლა - ფენიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

13. სპს - ცისიერ დიდიმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

14. სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

15. სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

16. შპს - „პროგრესი 010“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

17. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

18. შპს - „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

19. შპს - საუნჯე - გორის კერძო საშუალო სკოლა „საუნჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

20. შპს - ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

21. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის, არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი, ზოგადსაგანმანათლებლო, კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს შეახსენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6 სექტემბრის სხდომაზე უნდა განხილულიყო შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რის შესახებაც ეცნობა ავტორიზაციის მამიებელს. შესაბამისად, ცენტრმა იშუამდგომლა საბჭოს წინაშე, რათა სხდომის დღის წესრიგის პროექტში დამატებოდა შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ნანა ჭილაძემ საბჭოს აგრეთვე მოახსენა, რომ ცენტრში შემოსული იყო სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ შუამდგომლობა ავტორიზაციის საკითხის გადადების თაობაზე. შესაბამისად, ცენტრმა იშუამდგომლა საბჭოს წინაშე, რათა სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულიყო სპს - საერო სკოლა „მაია მზარელუას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შუამდგომლობა არ ყოფილა.

საბჭომ წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი, შემდეგი სახით:

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
6. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
7. შპს - წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - პეგასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - „ნ&ნ 2000“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - სკოლა - ფენიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. სპს - ცისიერ დიდმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - „პროგრესი 010“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. შპს - „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
18. შპს - საუნჯე - გორის კერძო საშუალო სკოლა „საუნჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - ახალი ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
20. შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის, არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი, ზოგადსაგანმანათლებლო, კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
21. შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომლის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, ავტორიზაციის სამივე სტანდარტს აკმაყოფილებს - ექსპერტთა დასკვნა დადებითია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით დაწესებულება შეძლებს 1800 სტუდენტისათვის მომსახურების გაწევას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეფიქსირებინა მისი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ თავდაცვის აკადემიას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 1800 სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800-ით.

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, განაცხადა თვითაცილება.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით მაკარიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 აგვისტოს №220 დადგენილებით შუერთდა სსიპ - სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, რომლის უფლებამონაცვლედ ჩაითვალა სამედიცინო უნივერსიტეტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარებს წარმოება ამ ფართის საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად;

1.2 დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ სარგებლობაშია ალ. ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა (საერთო ფართით - 5908 კვ. მ.), რომელიც მდებარეობს უზნაძის ქ. №103-ში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის 2006 წლის 8 თებერვალს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების თანახმად, დასტურდება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის უზნაძის ქ. №103-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გადაცემა. საჯარო რეესტრის 2010 წლის 28 სექტემბრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის №882010800531) თანახმად, აღნიშნული შენობა-ნაგებობა სარგებლობის უფლებით გადაცემული იყო სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის. თუმცა, საჯარო რეესტრის 2011 წლის 31 იანვრის (განცხადების რეგისტრაციის №882011036111) ამონაწერით, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამ ფართის მოსარგებლედ აღარ ფიქსირდება.

1.3 დაწესებულების საერთო ფართი შეადგენს 76,950.59 კვ. მ .-ს. დაწესებულება ფლობს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ რესურსს. დაწესებულებას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, კერძოდ, სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარი და თვალსაჩინოებები - სამედიცინო აპარატურა, ინსტრუმენტები და ხელსაწყოები, სასწავლო მულაჟები (ანატომიური, ფუნქციური, დაავადებების მანიპულაციების, მშობიარობის და სხვ.), სასწავლო მაგიდები, სკამები, დაფები და ა.შ. დაწესებულების მფლობელობაშია ასევე სათანადო რაოდენობის პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები (719 ერთეული).

1.4 დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 369. მათ შორის - 91 სრულ პროფესორი, 113 - ასოცირებული პროფესორი, 165 - ასისტენტ-პროფესორი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, შესაძლებელია სტუდენტთა კონტიგენტის 8500-მდე გაზრდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 8500-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 8500 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 8500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8500-ით.

3. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მომხსენებელმა საბჭოს წარუდგინა ფაქტობრივი გარემოებები:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობას წარმოადგენს 12127,58 კვ. მ. აღნიშნულ ფართში განთავსებულია შესაბამისი ინვენტარით აჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები სამედიცინო-კვლევითი ცენტრები, პრაქტიკული სამართლის კლინიკა, სამკითხველო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ასევე კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ფონდი და სხვა ინვენტარი, რომელიც სრულიად გამოიყენება უნივერსიტეტის მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება მის საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 34, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, შესაძლებელია სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმობდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 1500- სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34 -ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

4. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მან საბჭოს მოახსენა ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულია 52 პროფესორი. დაწესებულების სასწავლო ფართი შეადგენს 3098, 82 კვ. მ.-ს, დამხმარე ფართი - 2017,65 კვ. მ.-ს, ღია სპორტული მოედანი 478,44 კვ. მ.-ს. (საეთო ფართის ოდენობა - 5594,91). დაწესებულების მფლობელობაშია 88 ერთეული კომპიუტერი.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, შესაძლებელია სტუდენტთა კონტიგენტის 1500-მდე გაზრდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმობდა ექსპერტთა შეფასებას და შენიშვნა არ დაუფიქსირებია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 1500- სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე

მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მან საბჭოს კიდევ ერთხელ გააცნო ფაქტობრივი გარემოებები:

დაწესებულება ახორციელებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის აკადემიურ პროგრამებს და ასევე ხუთივე საფეხურის პროფესიულ პროგრამას. უნივერსიტეტის მფლობელობაშია ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №14-ში მდებარე შენობა (სასწავლო ფართი 4768 კვ.მ.) და სენაკში, მშვიდობის ქ. №192-ში მდებარე შენობა (სასწავლო ფართი 4700 კვ. მ). სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ამჟამად მოღვაწეობს 21 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 4 სრული პროფესორი, 15 ასოცირებული და 2 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან და უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და შესაძლებელია სტუდენტთა ადგილების რაოდენობა გაეზარდოს 645 ერთეულით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა სტუდენტთა რაოდენობის 700 ერთეულით გაზრდის თაობაზე და დამატებით წარმოადგინა დოკუმენტი, კერძოდ, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ უნივერსიტეტს მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნისათვის შესაძლებლობა ჰქონდა.

თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა გადაემოწმებინა წარმოდგენილი დოკუმენტი.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა შუამდგომლობის საფუძველი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტს ჰყავდა საკმარისი რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური პერსონალი და გარდა ამისა, დაწესებულების მატერიალური რესურსით შესაძლებელი იყო მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტთათვის მომსახურების გაწევა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა უნივერსიტეტს.

მხარის განმარტებით დაწესებულების სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობას წარმოადგენდა 1117, აქედან 386 იყო პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 700 ერთეულით გაზრდის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, უნივერსიტეტს შესაძლებლობა ჰქონდა, დამატებით მიეღო 700 სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1817 ერთეულით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34 -ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1817-ით.

6. შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასისთვის“ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ექსპერტთა პირველი ვიზიტის დროს სკოლა ფლობდა ნოტარიულად დამოწმებულ ფართს ბათუმში, ჰაიდარ აბაშიძის ქ. №26-ში 830,02 კვ/მ და ზურაბ გორგილაძის ქ. №71-ში 1059,56 კვ/მ. ამჟამად სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, სკოლის საკუთრებაში ირიცხება ბათუმში, ჰაიდარ აბაშიძის ქ. №26-ში დაზუსტებული ფართობი 993,63 კვ. მ.

1.2 ექსპერტთა პირველი ვიზიტის დროს სკოლის ბალანსზე ირიხებოდა 9 კომპიუტერი, რომელთაგან 3 განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში, 2 - კომპიუტერულ კლასში, 1 - ბუღალტერიაში, 1 - დირექტორის კაბინეტში და 2 - სამასწავლებლოში. შესაბამისად, სკოლას არ გააჩნდა 534 მოსწავლისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერი. ამჟამად სკოლამ წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება კომპიუტერულ სერვის-ცენტრთან 22 კომპიუტერის შესყიდვის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სკოლას მთლიანობაში აქვს 31 კომპიუტერი.

1.3 პირველი ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა 4 ვიდეოკამერა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება „ჯესკო ჯგუფთან“ და თანხის გადახდის ქვითარი, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წლის დაწყებამდე დამონტაჟდება უსაფრთხოების ვიდეო კამერები.

1.4 ექსპერტთა პირველი ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა გადახდილი „ინსტა-ჯორჯიასთან“ ხელშეკრულებით გაფორმებული სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიების შესაძენად გათვალისწინებული თანხა. ამჟამად სკოლამ წარმოადგინა პირველი ნაწილის გადახდის ქვითარი.

შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და შესაძლებელია სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 620 ერთეულით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური

რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 620-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ჰქონდა, დამატებით მიეღო 620 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასისთვის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 620-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34 -ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასს“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 620-ით.

7. შპს - წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი განცხადებით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს და, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ ფიქსირდებოდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 255 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 255 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 255-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 255-ით.

8. ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379070) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, მისი განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა დადებითია და დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 550 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები არ დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 400 პროფესიული სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - პროფესიული კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

9. შპს - პეგასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა. მისი განცხადებით ექსპერტთა დასკვნა დადებითია და დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 250 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 250 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეგასის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პეგასს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

10. შპს - „ნ&ნ 2000“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ფაქტობრივი გარემოება საბჭოს წარუდგინა ნინო ბეგიაშვილმა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - „ნ&ნ 2000“-ს აქვს ფართი ორ მისამართზე. აქედან, ერთ მისამართზე არსებული ფართი, კერძოდ, ქ. რუსთავის 21-ე მიკრორაიონში მდებარე შენობა (2516 კვ. მ.) შესყიდულია აუქციონზე, რის შესახებაც არსებობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 ივლისის №1-1/1413 ბრძანება. დაწესებულებას გადახდილი აქვს თანხის ნაწილი, ხოლო სრულად ანგარიშსწორება უნდა მოხდეს 9 სექტემბრამდე, რის შემდეგაც შპს - „ნ&ნ 2000“-ს დაუკანონდება აღნიშნულ ფართობზე საკუთრების უფლება.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებს. ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად გადაიხადა საფასური ა.წ. 5 სექტემბერს.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, მოხდა თუ არა შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია შპს - „ნ&ნ 2000“-ის სახელზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დროის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა შპს - „ნ&ნ 2000“-ის სახელზე ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილემ, რევაზ ხოფერიამ განაცხადა, რომ სამართლებრივად მნიშვნელოვანია, უძრავ ნივთებზე უფლება დასტურდებოდეს საჯარო რეესტრის მონაცემებით. შესაბამისად, საბჭოს შეეძლო განესაზღვრა ავტორიზაციის მამიებლისათვის დამატებითი ვადა საჭირო დოკუმენტაციის წარმოსადგენად და გადაედო საკითხის განხილვა შემდეგი სხდომისათვის.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ვადაში გეგმავდა იგი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამისათვის მას სჭირდებოდა მაქსიმუმ ორი დღე.

საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ცენტრის პოზიციას და მიაჩნია, რომ საკითხი უნდა გადაიდოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა აღნიშნული სადავო ფართისა დაწესებულებას აქვს ასევე, მეორე ფართი (845 კვ. მ.) სხვა მისამართზე, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მიერ შენიშვნა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება სწორედ ზემოაღნიშნული ფართიდან გამომდინარე, სადავო ფართის გაუთვალისწინებლად.

საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ თუ საბჭო მხედველობაში არ მიიღებდა ქ. რუსთავის 21-ე მიკრორაიონში მდებარე შენობას, ეს შესაბამისად აისახებოდა დაწესებულებისათვის მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის ნაწილში მისაღებ გადაწყვეტილებაზეც და შპს - „ნ&ნ 2000“-ს სადავო ფართის კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, უფლება ექნებოდა მიემართა ცენტრისათვის კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი ითვალისწინებდა მოსალოდნელ შედეგს. ამასთან, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა ჯამში ცამეტი ერთეული კომპიუტერი, ვინაიდან, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, განხორციელდა დამატებით სამი კომპიუტერის შეძენა. დაწესებულების წარმომადგებელმა საბჭოს წარუდგინა შესყიდვის დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 350 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები არ დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 260 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ნ&ნ 2000“-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ნ&ნ 2000“-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

11. შპს - სკოლა - ფენიქსის (საიდენტიფიკაციო კოდი: 205178010) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლა - ფენიქსი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, რომლის ფართი აზომვითი ნახაზის მიხედვით არის 239,76 კვ. მ., ხოლო საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს - სკოლა - ფენიქსი მესაკუთრის უფლებით ფლობს ერთ მისამართზე არსებულ ფართს - 203.00 კვ. მ.-ის ოდენობით. წარმომადგენლის განცხადებით ამ ფართის მფლობელობაში რეგისტრაციის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს.

საბჭოს სხდომის დღისათვის გადამოწმდა ფართის დაწესებულების მფლობელობაში დარეგისტრირების საკითხი და გამოირკვა რომ რეგისტრაციის პროცესი არ დაწყებულია - დღეის მდგომარეობით, შპს - სკოლა - ფენიქსი მესაკუთრის უფლებით ფლობს ერთ მისამართზე არსებულ ფართს - 203.00 კვ.მ.-ის ოდენობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საბჭო ხელმძღვანელობს საჯარო რეესტრში დაფიქსირებული მონაცემებით. ამდენად, დაწესებულებას აღნიშნულ შემთხვევაში ჩაეთვლება მხოლოდ 203 კვ.მ. ფართი.

1.2 ზემოაღნიშნული ფართის სხვაობის, - 36.76 კვ.მ. -ის, გამოყენებას სკოლა ვარაუდობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და ექიმის კაბინეტის განსათავსებლად. კერძოდ, სკოლას აქვს გამოყოფილი 10 კვ. მ. ფართის მქონე ოთახი, სველი წერტილით და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო მედიკამენტებით, ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი-ექიმად. ხოლო 16 კვ. მ. ფართის მქონე ოთახი გამოყოფილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ლაბორატორიის შესაბამისი ინვენტარით (ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია) აღჭურვა უზრუნველყოფილია შპს „ინსტა - ჯორჯია“-სთან 2011 წლის 19 ივლისს გაფორმებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებით (სკოლას წინასწარ ავანსის სახით გადახდილი აქვს 4000 ლარი).

ამდენად, სკოლის ლაბორატორია და სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია ისეთ ფართზე, რომლის ფლობის სამართლებრივი საფუძველი (საკუთრება, მფლობელობა) დაწესებულებას არ აქვს.

1.3 ვიზიტის მიმდინარეობისას - 2011 წლის 26 აგვისტოს სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა თვითშეფასების კითხვარში მიუთითებელი, დამატებითი 202 კვ. მ. ფართის ქირავნობის ხელშეკრულება, დადებული ფიზიკურ პირთან, ნათელა გელამესთან, რომელიც მის პირად საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, 202 კვ. მ.-ის ოდენობის საცხოვრებელ ფართს, განსაზღვრული ვადით სარგებლობაში გადასცემს შპს - სკოლა - ფენიქსს. ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის 26 აგვისტოს და ამავე დღეს დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. (ქირავნობის

ხელშეკრულების გაფორმება და საჯარო რეესტრში რეგისტრირება მოხდა ექსპერტთა ვიზიტის დამთავრებამდე).

საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაკა ტუკვაძემ დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა აღნიშნული ფართის დათვალიერება და ავტორიზაციის მატერიალური რესურსის სტანდარტთან მისი შესაბამისობის დადგენა.

1.4 სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული 3 კომპიუტერი. ამჟამად სკოლას ფუნქციონირება ჯერ არ დაუწყია. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ერთ მისამართზე 250 კვ. მ. -ზე ნაკლები ფართი აქვს, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-4 მუხლის „ა.“ ქვეპუნქტის მიხედვით, საბჭო უფლებამოსილია, სკოლას მოსწავლეთა კონტიგენტი მხოლოდ 50-ზე ნაკლები მოსწავლით განუსაზღვროს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა - ფენიქსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 49-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა - ფენიქსს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 49-ით.

12. შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომლის განცხადებითაც დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 400 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები არ დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 380 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მომავლის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 380-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მომავლის სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 380-ით.

13. სპს - ცისიერ დიდმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1.მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლა საქმიანობას ახორციელებს საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძელში, №1 საბავშვო ბაღის შენობაში. სკოლას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს - „აგროფირმა პატარძელთან“, 2008 წლის 6 აგვისტოს, 10 წლის ვადით, მაგრამ მეიჯარის საკუთრება არ დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ხელშეკრულებიდან არ ირკვევა საიჯარო ფართის მოცულობა. სკოლის დირექტორის განმარტებით „აგროფირმას“ შენობის საკუთრების თაობაზე დავა აქვს სასამართლოში, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით გადაუჭრელია.

1.2 სკოლას არ გააჩნია ვებგვერდი.

1.3 სკოლას არ გააჩნია უსაფრთხოების კამერები.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, 15 წელია ხსენებული შენობა იჯარით აქვთ აღებული, მაგრამ მეიჯარეს დავა აქვს სახელმწიფოსთან, რომელიც დღემდე ვერ მოგვარდა. მისი განმარტებით, არც სახელმწიფო და არც აგრო ფირმა არ არის წინააღმდეგი, რომ სკოლამ შენობა შეიძინოს, თუმცა სამართლებრივად ამის განხორციელება ვერ ხერხდება. სკოლის დირექტორმა ისაუბრა სკოლის მიღწევებზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ 14-მა მოსწავლემ საზღვარგარეთ განაგრძო სწავლა. მისი განმარტებით, მოსწავლეები სხვადასხვა კონკურსში წარმატებით მონაწილეობენ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაფიქსირებული შენიშვნა ისეთი ხასიათისაა, რომელიც გამორიცხავს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ცისიერ დიდმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, სპს - ცისიერ დიდმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმს უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

14. სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 არჩევითი საგნებიდან 2010-2011 სასწავლო წელს XI კლასში ისწავლებოდა ხაზვა და სამართალი, XII კლასში - გლობალური პრობლემების გეოგრაფია, მაგრამ სკოლა არ აფასებდა მოსწავლეებს ამ საგნებში.

1.2 სპორტის გაკვეთილებზე ისწავლება სპორტული ცეკვები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტა“ საკუთრების უფლებით ფლობს ქ. სენაკში, ზ. გამსახურდიას ქ. №117 - ში შენობას საერთო ფართობით 726 კვ. მ., აგრეთვე იჯარით აღებულ ფართს, ქ. სენაკის №6 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში, საერთო ფართობით 228,3 კვ. მ.

2.2 დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს „ინსტა-ჯორჯიასთან“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიების აღჭურვილობის გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წლის 20 აგვისტოს. ხელშეკრულების თანახმად, ახალი, ტექნიკურად გამართული ობიექტი მყიდველს გადაეცემა მიმდინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 სამუშაო დღისა.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნიშნები არ იწერება, თუმცა მოსწავლეების შეფასება მაინც წარმოებს, ამავდროულად, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტების უარყოფით შეფასებას ნიშნების არარსებობის ნაწილში და უახლოეს მომავალში გეგმავს ამ ხარვეზის გამოსწორებას.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ თუ მოსწავლეს სხვა სკოლაში გადასვლა ენდომება, მას არ შეექმნება პრობლემა ნიშნის არქონის გამო. მოხდება არსებული შეფასების გადაყვანა ნიშანში, რის გამოც, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნიშნის არქონა ნაკლია,

მაგრამ არაარსებითი. აქვე, დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ სპორტული ცეკვები მოითხოვს დიდ ფიზიკურ აქტივობას, შესაბამისად, არ იქნება სამართლიანი, თუ სპორტის გაკვეთილებზე სპორტული ცეკვის სწავლებას საბჭო ხარვეზად ჩათვლის.

თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებული ორივე შენობა ერთმანეთთან ტერიტორიულად ახლოსაა და საჭიროების შემთხვევაში ბავშვების გადაადგილება ერთი შენობიდან მეორეში უპრობლემოდ არის შესაძლებელი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 440 მოსწავლის მიღებას.

თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები არ დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 420 მოსწავლე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - ნონა კუპრეიშვილი და არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „მარიოტას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 420-ით.

15. შპს - „პროგრესი 010“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - „პროგრესი 010“-ის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „პროგრესი 010“-ის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს „პროგრესი 010“ მდებარეობს სიღნაღის რაიონის სოფ. საქობოში. საჯარო რეესტრის მონაცემებით, დაწესებულება იჯარით ფლობს 7000 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ერთსართულიან, კოტეჯის ტიპის 649 კვ. მ. საერთო ფართის 3 შენობა-ნაგებობას.

1.2 საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური და ორადგილიანი მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის და ადმინისტრაციისათვის სამუშაო მაგიდებით. ინვენტარი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მერხები და სკამები გათვლილია სხვადასხვა სიმაღლის მოსწავლეებზე, თუმცა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №572-ით შემუშავებულ რეკომენდაციების შესაბამისად არ არის დაცული მოცემული მოსწავლის სიმაღლის, სასკოლო მერხისა და სკამის სიმაღლის და ზედაპირის დასაშვები ზომების თანაფარდობა, არ ახლავს გამოყენებული მასალის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

1.3 სკოლის შენობა-ნაგებობა განთავსებულია 7000 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე, სადაც მდებარეობს ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის მოედანი და საცურაო აუზი. ხელშეკრულებით ვერ დასტურდება აღნიშნული სპორტული კომპლექსით სკოლის სარგებლობის უფლება, თუმცა სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. დარბაზი აღჭურვილია სპორტული საჭიდაო ლეიბებით, ტრენაჟორით, ბაგირით, ჩოგბურთის მაგიდით, რომელიც სკოლას მეიჯარისგან შენობასთან ერთად გადაეცა სარგებლობის უფლებით.

1.4 სკოლა აღჭურვილია ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარით, კერძოდ: საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი აღჭურვილია კოლბებით, მენზურებით, რეოსტატით, დენის წყაროთი, მიკროსკოპით, კამერტონით, შტატივით, ოპტიკური მინებით, ფაიფურის ჯამებით, ქიმიური ნივთიერებებით, თერმომეტრით, ინდიკატორებით, სასწორით და გირებით, პლაკატებით, მულაჟებით, მიკროსკოპის მუდმივი პრეპარატებით, სპირტქურით და სხვა.

1.5 სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოთვალით. წე სრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას.

1.6 დაწესებულებაში არ არის შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესი. ბრძანებებს აღრიცხავენ ჟურნალში, სადაც იწერება ბრძანებების სრული ტექსტი. იწარმოება შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებული შენობები ერთმანეთთან ტერიტორიულად ახლოსაა და საჭიროების შემთხვევაში ბავშვების გადაადგილება ერთი შენობიდან მეორეში უპრობლემოდ არის შესაძლებელი.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით და ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი არ მიიჩნია არსებითად. საბჭოს მიერ ასევე არ იქნა გაზიარებული შენიშვნა საკლასო ინვენტართან, ლაბორატორიასთან და საქმის წარმოების წესთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზი.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა საკუთარი სპორტული დარბაზი. შესაბამისად, საბჭომ იმსჯელა სპორტულ კომპლექსთან ხელშეკრულების არარსებობის შესახებ და ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი არ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განემარტა, თუ რაში მდგომარეობდა შენიშვნა ვიდეოკამერებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზის დადგენა განპირობებული იყო იმით, რომ ვიდეოკამერა აკონტროლებს მხოლოდ სკოლის გარე პერიმეტრს, მაშინ როდესაც სავალდებულოა შიდა პერიმეტრის კონტროლიც.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 200 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 200 მოსწავლე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „პროგრესი 010“-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

16. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა - მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა - მათემატიკური სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

სკოლას აქვს ძველი ლაბორატორია. ამასთანავე, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ჯეო დეკორთან“ (Nგეო-026; 01.08.2011) სათანადოდ აღჭურვილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგია -ანატომიის და საერთო დანიშნულების ლაბორატორიის შესაძენად (აღჭურვილობა 208 დასახელებისა).

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს დაწესებულებისთვის ცენტრის რეკომენდაციები სავალდებულო ძალის მქონე იყო თუ არა.

მომხსენებლის განმარტებით, რეკომენდაცია სავალდებულო ძალის არ იყო, თუმცა მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ დაწესებულება გაითვალისწინებდა მას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 200 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 200 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა - მათემატიკური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა - მათემატიკურ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

17. შპს - „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერები ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ სტანდარტს, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაიდო ხელშეკრულება შპს „აისის“ და შპს „ლოჯიკალ სისტემზ კომპანიასთან“ შესაბამისი პარამეტრების მქონე კამერების მონტაჟის შესახებ, რომელიც ხელშეკრულების თანახმად უნდა შესრულებულიყო 15 დღის ვადაში.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 280 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 280 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „აისის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის

შესაბამისად, შპს - „აისს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

18. შპს - საუნჯე - გორის კერძო საშუალო სკოლა „საუნჯის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 417875874) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 ვიზიტის დროს სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ელექტროენერგიის მოხმარებაზე, თუმცა აპირებდა უახლოეს მომავალში გაეფორმებინა შესაბამისი ხელშეკრულება. წყალმომარაგებაზე გაფორმების პროცესში იყო ხელშეკრულება აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ შპს - „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“.

1.2 ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, თუმცა დადებულია ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან ნიკა აბაშიშვილთან ვებგვერდის დამზადებაზე. სკოლა აგრეთვე აპირებს ინტერნეტის მომსახურების შეძენას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიზიტის შემდეგ ყველა შენიშვნა გამოსწორდა.

მხარემ წარმოადგინა დომენის ფლობის ხელშეკრულება და ინტერნეტმომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგლემ, რევაზ ხოფერიამ, საბჭოს ურჩია, რომ უმჯობესი იქნებოდა დაწესებულების ვებგვერდის გადაემოწმებინათ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა, ხოლო ვებგვერდის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ვებგვერდი რეკონსტრუქციის პროცესშია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 46 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და

დაადასტურა, რომ სკოლას შესაძლებლობა აქვს, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, მომსახურება გაუწიოს 46 მოსწავლეს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საუნჯე - გორის კერძო საშუალო სკოლა „საუნჯის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 46-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საუნჯე - გორის კერძო საშუალო სკოლა „საუნჯეს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 46-ით.

19. შპს - ახალი ლიცეუმის (საიდენტიფიკაციო კოდი: 202059039) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულების შენობა მდებარეობს ერთ მისამართზე – თბილისში, სახოკიას ქ. №12-ში. აღნიშნულ მისამართზე 2007 წლის 7 ივნისის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებას სარგებლობაში აქვს მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 836 კვ. მ. და შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 701.04 კვ. მ. უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: 1-6264. აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 6 ივნისამდე.

საექსპერტო ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლა ფაქტობრივად სარგებლობს გაცილებით დიდი ფართობით, ვიდრე იჯარის ხელშეკრულებაში იყო დაფიქსირებული. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული შეუსაბამობა გამოწვეული იყო ფართზე განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებით და შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მხარეებმა სათანადო ცვლილებები შეიტანეს უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში.

აღნიშნულის დასადასტურებლად, საექსპერტო ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული - განცხადების მიღების ბარათი N882011419036 (30.08.201წ.), რომლის შესაბამისად, 4 სამუშაო დღეში დარეგისტრირდება იჯარის უფლებაში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, სკოლას 2017 წლის 20 ივნისამდე მართლზომიერ სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 836 კვ. მ. და შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 816.91 კვ.მ.

ცენტრის მიერ გადამოწმდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემები და გამოარკვია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები დარეგისტრირებულია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 220 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 220 მოსწავლე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ახალ ლიცეუმს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

20. შპს - ნოე ჟორდანias სახელობის არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი, ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 203839686) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლა სარგებლობს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიის ჩამონათვალით, რომელიც სათანადოდ ჩამოთვლილ ლაბორატორიის აღჭურვილობას არ შეესაბამება. სკოლის დირექტორის განმარტებით, მათ შეთანხმება აქვთ ფიზიკის ინსტიტუტთან და თვეში ორჯერ ისინი მოსწვლეებს ჩაუტარებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს და დაეხმარებიან სკოლას ფიზიკის ლაბორატორიის მოწყობაში.

2012 წლის სასწავლო წლის სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს ქიმია - ფიზიკა - ბიოლოგიის უახლესი ტექნიკით და მასალებით ლაბორატორიების აღჭურვას. დუშეთის სკოლის მოსწავლეები ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად ჩამოდიან თბილისში.

ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ, სკოლამ ცენტრში წარმოადგინა შპს „ჯეო - დეკორთან“ გაფორმებული 2011 წლის 6 სექტემბრის №გეო-031 ხელშეკრულება სამეცნიერო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ანატომია და საერთო დანიშნულება) მიწოდების თაობაზე.

1.2 სკოლას აქვს ინტერნეტით უზრუნველყოფილი 2 კომპიუტერი და ჰყავს 74 მოსწავლე (39 - თბილისში და 35 - დუშეთში).

ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ, სკოლამ ცენტრში წარმოადგინა 2011 წლის 6 სექტემბრის მიღება - ჩაბარების აქტი №11, დუშეთის სკოლისათვის 497 ლარად ღირებული კომპიუტერისა და 69 ლარად ღირებული ქსეროქსის აპარატის გადაცემის თაობაზე. აქტს თან ერთვოდა ნასყიდობის დამადასტურებელი ქვითრები.

1.3 პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის სკოლას ცალკე აქვს გამოყოფილი ოთახი (როგორც თბილისში, ასევე დუშეთში), თუმცა დუშეთში სკოლას ექთანი არ ჰყავს. ადმინისტრაცია თავად ახორციელებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. სასწავლო წლის დაწყებისთანავე იგეგმება სამედიცინო კადრის მოძიება ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ, სკოლამ ცენტრში წარმოადგინა 2011 წლის 5 სექტემბრის ქეთევან შუშიაშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ექიმის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

1.4 უსაფრთხოების დაცვის მიზნით კამერები დამონტაჟებულია მხოლოდ თბილისში, დუშეთში სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დარაჯი და მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა.

ამასთან, ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა 2011 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი №10 დუშეთის სკოლისათვის სათვალთვალო კამერის გადაცემის თაობაზე.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა იკითხა, რა რაოდენობით იყვნენ გადანაწილებულები მოწვევლები თბილისისა და დუშეთის სკოლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თბილისის სკოლაში იყო 398 მოსწავლე, ხოლო დუშეთის სკოლაში - 35 მოსწავლე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნები მნიშვნელოვანია, თუმცა საბჭოს სხდომის მიმდინარეობისათვის დაწესებულებას რეალურად ყველა ხარვეზი გამოსწორებული ჰქონდა. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას ავტორიზაციის საბჭო მხედველობაში იღებს ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 120 მოსწავლის მიღებას.

საბჭოზე დაზუსდა, რომ რამდენადაც სკოლას აქვს 3 კომპიუტერი (2 დააფიქსირა ექსპერტმა, ხოლო ერთი შეძენა მოხდა მოგვიანებით), ავტორიზაციის დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს მხოლოდ 60 მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები განაცხადეს, სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 60 მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, დავით კახიაშვილმა განაცხადა, რომ ამჟამად სკოლას ჰყავს 75 მოსწავლე. მოსწავლეთა ოდენობის 60-ით განსაზღვრის შემთხვევაში, სკოლას იძულებული გახდება გაუშვას 15 მოსწავლე.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, რომ მოსწავლეთა ოდენობა განისაზღვროს 80 მოსწავლით, მხოლოდ იმ დათქმით, რომ სკოლა უახლოეს მომავალში შეიძენდა კიდევ ერთ კომპიუტერს და შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენდა ცენტრში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნოე ჟორდანიას სახელობის არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიანი, ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერული საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის

შესაბამისად, შპს - ნოე ჟორდანias სახელობის არასახელმწიფო, საერო, მრავალპროფილიან, ზოგადსაგანმანათლებლო კომპიუტერულ საშუალო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

21. შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კოტე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებამ VII-XII კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი ვერ წარმოადგინა;

1.2 შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯს გაწერილი არა აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიზნები, წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და შეფასების სისტემა;

1.3 დაწესებულებამ ვერ შესძლო ყველა საგნობრივი პროგრამის წარმოდგენა, კერძოდ: სპორტის (ყველა კლასში), ქართული ენის (მეოთხე, მეხუთე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე კლასებში), ინგლისური ენის (პირველ, მეორე, მეოთხე კლასებში), სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების, ისტორიის (მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეთორმეტე კლასებში), ბიოლოგიის (მეექვსე, მეშვიდე კლასები), გეოგრაფიის (მერვე, მეთორმეტე კლასებში) და სახვითი ხელოვნება. თემატური გეგმები წარმოდგენილი იყო მხოლოდ 3 ცალი, ბუნებისმცოდნეობისა და ქართულში (მე-2 კლასში) ბუნებისმეტყველება-პირველ და მეორე კლასში;

1.4 სკოლას ინკლუზიური განათლების მართვის კონცეფცია ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო არ გააჩნია;

1.5 სკოლას სასწავლო სასკოლო გეგმაში გაწერილი აქვს შეფასების სისტემა, თუმცა შეფასების რუბრიკები ვერ იქნა წარმოდგენილი;

1.6 მხოლოდ მე -12 კლასს ჰყავდა დამრიგებელი. სადამრიგებლო პროგრამები სკოლამ ვერ წარმოადგინა;

1.7 სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები ვერ წარმოადგინა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შენობაში განლაგებული საკლასო ოთახები აღჭურვილია დიდი ოვალური მაგიდებით (ერთ საკლასო ოთახში 1 მაგიდა), სკამებით და დაფებით. სასწავლო რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა წარმოდგენილი, დიდი ნაწილი სარემონტო სამუშაოების გამო გატანილია სკოლიდან. სკოლის

წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს დაწესებულებაში არსებული ინვენტარის საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

2.2 დაწესებულების ეზოში არის ღია აუზი. აუზს არ აქვს წყლის გამათბობელი სისტემა და გასახდელები. ეზოში არის ასევე 77.25 კვ. მ. შენობა, რომელშიც სამომავლოდ იგეგმება სპორტული დარბაზის მოწყობა. ეზოში ასევე იგეგმება ღია სპორტული მოედნის მოწყობაც. სკოლა ფლობს სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს, კერძოდ: მაგიდის ჩოგბურთის 2 მაგიდას და კალათბურთის ფარებს. ინვენტარის ფლობა დოკუმენტურად არ დასტურდება.

2.3 სკოლა -კოლეჯს შპს „ჯეო დეკორთან“ დადებული აქვს ხელშეკრულება სამეცნიერო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია) 208 დასახელების აღჭურვილობის შესაძენად. თანხის 10% გადახდილია. საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულებით უნდა მოხდეს 2011 წლის ოქტომბრამდე, ლაბორატორიის სკოლისთვის მიწოდების ვადაა 30 დღე ავანსის მიღების დღიდან (9.08.2011წ).

2.4 სკოლას ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი აქვს ცალკე ოთახი, რომლის ერთ კედელზე გაკეთებულია კარადები. სკოლის წიგნადი ფონდი შედგება 162 დასახელების წიგნისაგან. მათგან სახელმძღვანელოა 33. სახელმძღვანელოები არ არის ყველა კლასისათვის, ამასთან, არსებული წიგნების შესაბამისობა სკოლის მიერ არჩეულ სახელმძღვანელოებთან ვერ დასტურდება, ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა სახელმძღვანელოების სრული ნუსხა.

2.5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სკოლას ადაპტირებული გარემო არ აქვს.

2.6 სკოლას, ადმინისტრაციის განმარტებით, აქვს 4 კომპიუტერი (სარემონტო სამუშაოების გამო კომპიუტერები სკოლიდან გატანილია), რომელთა საკუთრების ან მფლობელობის უფლება ვერ დასტურდება. სკოლის სარგებლობაშია ვებგვერდი, რომლის მისამართია: www.sacs.ge. ვებგვერდი არ არის ინფორმაციული. მასზე ატვირთულია მხოლოდ ფოტოსურათები.

2.7 სკოლას ამ ეტაპზე ექი მი/ექთან არ ემსახურება. იგეგმება სამომავლოდ ექთანთან ხელშეკრულების გაფორმება. სკოლას ასევე არ ჰყავს დარაჯი, მასთანაც სამომავლოდ იგეგმება ხელშეკრულების გაფორმება.

2.8 დაწესებულებაში გამოსაშვები გამოცდებისათვის დამონტაჟებულია 2 სათვალთვალო კამერა, რომელთა საკუთრება ან მფლობელობა ვერ დასტურდება. წარმოდგენილი იქნა ასევე შპს „გლობოტექთან“ დადებული ხელშეკრულება სამეთვალყურეო სისტემის მონტაჟსა და მიწოდებაზე (2 ვიდეოკამერა, 4-არხიანი ჩამწერით).

2.9 სკოლაში წარმოებს ბრძანებების აღრიცხვის 2 წიგნი (ერთში იწერება ბრძანებები მოსწავლეებზე, მეორეში - პედაგოგებზე), გაცემული განცხადებების და მოთხოვნების წიგნი. ატესტატების გაცემის წიგნები არაა დანომრილი და ზონარგაყრილი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლას ჰყავს 46 მოსწავლე და 14 თანამშრომელი, თუმცა თანამშრომლების ზუსტი რაოდენობა და ვინაობა დოკუმენტურად ვერ დადასტურდა. ვერ იქნა წარმოდგენილი საშტატო განრიგი.

სკოლამ წარმოადგინა 10 პედაგოგის პირადი საქმე, ამათგან 1 პედაგოგის - ნეტა მერაბიშვილის პირად საქმეში არ იყო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. ასევე 2 პედაგოგის (ნელი წიკლაური, თამარ ზურაშვილი) პირადი საქმე ვერ იქნა წარმოდგენილი, თუმცა არსებობს მათი დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება.

3.2 დაწესებულებაში ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები გაწერილი არ არის.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაწესებულება არსებობს უკვე თოთხმეტი წლის მანძილზე, შესაბამისად, აქვს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი, მაგრამ ამჟამად მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ვერ მოხერხდა ექსპერტებისათვის მათი წარდგენა. მაგალითისათვის, დიპლომები, რომლებიც ადგილზე ექსპერტებმა ვერ მოიძიეს, მასწავლებლებს ჰქონდათ წაღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მართლაც ფიქსირდებოდა ყველა ის ხარვეზი, რომელთა შესახებაც დასკვნაშია საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი არსებული დასკვნის პირობებში ვერ მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ მოითხოვა დაწესებულებამ ვიზიტის გადადება სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის გამო დაწესებულება ვალდებული იყო, შემოეტანა საავტორიზაციო განაცხადი, რაც შეეხება ექსპერტთა ვიზიტის გადავადებას, ამის შესახებ ცენტრს ის არ გაუფრთხილებია.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ცენტრი აღნიშნულ განმარტებას საკუთარი ინიციატივით ვერ გასცემდა, თუ თავად ავტორიზაციის მამიებელი არ მიმართავდა მას შესაბამისი თხოვნით.

საბჭოს წევრმა რუსუდან ტყემელაშვილმა შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენელს საბჭოს სხდომაზე მის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის პუნქტობრივი განხილვა დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ფიზიკურად ვერ მოახერხებდა, თუნდაც საბჭოს სხდომისათვის, ყველა დოკუმენტის წარმოდგენას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც კი საბჭო არ იქნებოდა უფლებამოსილი, შეეცვალა ექსპერტთა დასკვნა, ვინაიდან საბჭო ხელმძღვანელობს ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით. შესაბამისად, გამოსავალი მოცემულ შემთხვევაში არის დოკუმენტების მოწესრიგება და ახალი საავტორიზაციო განაცხადის შემოტანა, თუ დაწესებულებას აქვს ამის სურვილი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:


„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის

შესაბამისად, შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯს უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:48 საათზე.

ოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი


გ. სიმონია